სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 55/ბ

მცხეთა *25 მაისი 2023 წელი*

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“-ის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3¹ პუნქტის ა) ქვეპუნქტის, საფუძველზე„ *ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში `შემსყიდველი“, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის დიმიტრი ზურაბიშვილის სახით და მეორეს მხრივ,* ***შპს "ბადაგი"*** *შემდგომში `მომწოდებელი” წარმოდგენილი მისი დირექტორის ინგა ყაჯრიშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;*

1. ***ხელშეკრულების საგანი***

1. *მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური-ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელის ნანა კაპანაძის 2023 წლის 25 მაისის მოხსენებითი ბარათის N 04-3423145148 საფუძველზე 4 ცალი ტკბილეულის კრებულის შესყიდვა CPV15840000 .*

#	დასახელება	ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი, ლარი	ჯამური თანხა, ლარი
1	ჩურჩხელების სასაჩუქრე ნაკრები დაწნულ თეფშზე	ცალი	4.00	66.20	264.80

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 30 ჩათვლით.
2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა ***- 264.80 (ორას სამოცდაოთხი ლარი და ოთხმოცი თეთრი)*** *ლარი.*

3. ანგარიშსწორება

3*.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.*

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 `მომწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:
4.2 მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, შესაბამისი ხარისხით.
4.3 ,,შემსყიდველი˜ კისრულობს ვალდებულებას:
4.4 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღეში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ `მომწოდებელი~ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, `შემსყიდველი~ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში `შემსყიდველს~ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში `შემსყიდველი~ უფლებამოსილია `მომწოდებელს~ დააკისროს პირგასამტეხლო საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ `მიმწოდებელი" და `შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური - ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელი ნანა კაპანაძე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	*შპს "ბადაგი"*
	ს/კ 404907222
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.7	*იურიდიული მის: კახეთი, წნორი,*
სახელმწიფო ხაზინა	*ნონეშვილის ქ. 9*
ხაზინის კოდი: TRESGE22	*ფაქტობრივი მის: ქ.თბილისი,აღმაშენებლის*
ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022	*ხეივანი 1.6 კმ*
ს/კ 236099789	*სს თიბისი ბანკი*
ტელ: 2512696	*ბანკის კოდი: TBCBGE22*
ელ. ფოსტა: mtenderi@yahoo.com	*ა/ნ GE89TB7759436080100001*
	info@badagi.ge/www.badagi.ge
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი	*ტელ: 995 97 11 10 22*
დიმიტრი ზურაბიშვილი	*დირექტორი: ინგა ყაჯრიშვილი*

Badagi LLC

Digitally signed by Badagi LLC
Date: 2023.05.25 18:04:37 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი
დიმიტრი ზურაბიშვილი